კითხვის დრო

საბავშვო გაზეთი, III–IV კლასი, N8

ახალგაზრდა ქართველი გამომგონებლები

ადამიანი მუდმივად რაღაცას ქმნის და იგონებს. ყველა გამოგონება რაღაცაში გვეხმარება, რაღაც საქმის კეთებას გვიადვილებს.

იმისთვის, რომ რაიმე ახალი გამოიგონო, სულაც არაა საჭირო ზრდასრულობა. თუ საინტერესო ნივთის შექმნა გსურს, ფიქრი დღესვე დაიწყე!

ამ სტატიაში ორ ახალგაზრდა ქართველ გამომგონებელზე გიამბობთ. მათ ჯერ კიდევ მოსწავლეობის დროს შექმნეს ახალი, საინტერესო ნივთები. მერე კი საკუთარი გამოგონების დასაცავად დააპატენტეს კიდეც ისინი.

სახალისო დავალება

წარმოიდგინე, რომ ახალი მოწყობილობის შექმნაზე მუშაობ. რას გამოიგონებდი? აღწერე, რა ოპერაციების შესრულებას შეძლებდა შენი გამოგონება. ვის გამოადგებოდა ყველაზე მეტად და რატომ. ნახავ, გავა სულ ცოტა დრო და შენი ახლანდელი იდეა შეიძლება რეალობად იქცეს. წარმატებას გისურვებ!

„ჯადოსნური“ ფეხსაცმელი

გუგა ბერაია ახლა 23 წლისაა. ის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობდა. გუგას მედიცინა იტაცებდა.

გუგას პირველი გამოგონება ენერგიის გენერატორი იყო. ეს ხელსაწყო მოსალოდნელი წყალდიდობისა და ძლიერი ქარის ამოცნობაში დაეხმარება ადამიანს.



მისი მეორე გამოგონება „ჯადოსნური“ ფეხსაცმელია. ფეხსაცმლის ლანჩაში ჩამონტაჟებულია აპარატურა. მისი დახმარებით სიარულის დროს შეგიძლია დატენო მობილურის ან სხვა მცირე ზომის ბატარეა. გამომგონებელმა ბატარეის დამტენი სანთებელისა და რადიომიმღების ნაწილებისგან შექმნა. დამტენი პატარა ზომისაა. ის შეიძლება დამაგრდეს სხვადასხვა დიზაინის ფეხსაცმლის ლანჩაზე.

დამმუხტველს აქვს სპეციალური ნათურა. ის სიარულის დროს ანათებს, რაც ნიშნავს, რომ ბატარეა იმუხტება.

გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

„ჯადოსნური“ ფეხსაცმელი გუგა ბერაიამ აშშ-ში გამართულ ახალგაზრდა გამომგონებელთა კონკურსზე წარადგინა. ამ გამოგონებისთვის მან პირველი ადგილი და ოქროს მედალიაიღო.

გუგამ თავისი გამოგონება საქპატენტში დაარეგისტრირა. შემდეგ კი კომპანია „ნოკიას“ გაუგზავნა ინფორმაცია. ის ახლა განთავსებულია „ნოკიას“ (Nokia) საიტზე – Ideas for Nokia (იდეები„ნოკი ასათვის“).

თუმცა, გუგას აზრით,მოდელი ჯერ კიდევ დასახვეწია. დამმუხტველი ფეხსაცმლის გარეთ არის ჩამონტაჟებული. ამის გამო სიარულისას თავისებურ ხმას გამოსცემს. ეს კი საკმაოდ დამღლელია. გარდა ამისა, ბატარეის სრულად დამუხტვას დიდი დრო და... სიარული სჭირდება. თუ გაჩერდები, მოწყობილობაც ჩერდება და აღარ ტენის ბატარეს.

ახალგაზრდა გამომგონებელი ახლა ავტომობილისთვის სპეციალური სამუხრუჭე სისტემის შექმნაზე მუშაობს. ის ავტოსაგზაო შემთხვევებისრიცხვსშე ამცირებს.

ვერტმფრენის გადამრჩენელი

შალვა გიორგაძეც ახალგაზრდა გამომგონებელია. მან ახალგაზრდა მეცნიერთა და გამომგონებელთა მეცხრე საერთაშორისო ოლიმპიადაზე საუკეთესო პროექტისთვის პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა. ოლიმპიადაში 30 ქვეყნის 280 მოსწავლე და მასწავლებელი მონაწილეობდა.

შალვას გამოგონება კი არც მეტი არც ნაკლები, ვერტმფრენის გადამრჩენელია. ეს მოწყობილობა ვერტმფრენს და მგზავრებს გადაარჩენს ავიაკატასტროფის დროს.

პილოტის კაბინაში დამაგრებული იქნება სპეციალური სასიგნალო ღილაკი. ის კატასტროფის დროს ამოქმედდება. პილოტი დააჭერს ღილაკს თითს და ერთი წამში ვერტმფრენის ზედა ნაწილიდან ამოფრინდება რაკეტა. რაკეტაზე დამაგრებულია დიდი ზომის პარაშუტი. რაკეტა ჩამოშორდება მთავარ სისტემას. პარაშუტი კი ძალიან სწრაფად გაიხსნება. ვერტმფრენი მოწყვეტით აღარ დაენარცხება მიწას. პირიქით, ნელ-ნელა დაიწყებს დაბლა დაშვებას. რაც მთავარია, პარაშუტის ამოქმედებას ხელს არ შეუშლის ვერტმფრენის ფრთების ბრუნვა. ეს სისტემა, ჯერჯერობით, მხოლოდ ვერტმფრენზე მუშაობს. გამომგონებელი გეგმავს მსგავსი მოწყობილების შექმნას თვითმფრინავებისთვისაც.

შალვას მხოლოდ ვერტმფრენის გადამრჩენელი არ შეუქმნია. მას სხვადასხვა დროს კიდევ ბევრი საინტერესო მოწყობილობა აქვს შექმნილი. თუმცა მათგან მხოლოდ ნახაზები და ფოტოები შემორჩა. ის ხშირად ვერ ახერხებს ახალი ნივთისთვის საჭირო დეტალების შეძენას. ამიტომ ძველი ნამუშევრის დაშლა უწევს.

შენც გაქვს, ალბათ, საინტერესო იდეები. ამიტომ გახსოვდეს, გამოგონებისთვის მთავარი გაბედული იდეა, ნებისყოფა და მიზანდასახულობაა. როდესაც რაღაც არ გამოგდის, თავიდან უნდა სცადო და სანამ შედეგს არ მიიღებ, საქმეს თავი არ დაანებო! სხვადასხვა ვარიანტები მოსინჯე. რომელიმე გზით აუცილებლად მიაღწევ მიზანს!

კითხვის-დრო

ლოგო

რა არის ლოგო?

ლოგო არის სპეციალური ნიშანი, რომელიც ამა თუ იმ ორგანიზაციის ამოცნობაში გვეხმარება. ლოგო ხშირად გამოსახულია პროდუქციაზე, საქმიან დოკუმენტებზე, რეკლამებზე. ასე ადამიანები ცდილობენ, თავისი კომპანია ადვილად დასამახსოვრებელი გახადონ. ამიტომ კომპანიის წარმატებისთვის ლოგო ძალიან მნიშვნელოვანია.

ლოგოს სახეები

დღეს უამრავი ლოგო არსებობს. ისინი სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: გრაფიკული, ტექსტური (ლოგოტიპი) და შერეული.

გრაფიკული ლოგო მხოლოდ ნახატს შეიცავს. ასეთია, მაგალითად, „ეფლის“ (Apple) ლოგო.

ტექსტური ლოგო მხოლოდ წარწერისგან შედგება, ასეთია კომპანია გუგლის (Google) ლოგო.

შერეული ლოგო აერთიანებს ნახატსა და ტექსტს. შერეული ტიპის ლოგო აქვს ველური ბუნების დაცვის ფონდს (WWF).

როგორ შევქმნათ კარგი ლოგო?

1. ლოგოს უნდა ჰქონდეს მარტივი დიზაინი. დღეს ყველას სადღაც ეჩქარება. ამიტომ ლოგო მარტივი უნდა იყოს. ადვილად რომ აღიქვან და დაიმახსოვრონ.

2. ლოგო უნდა იყოს შთამბეჭდავი, დახვეწილი და სადა. ის დანახვისთანავე უნდა მოეწონოთ. ყველაზე ცნობილი ლოგოები ძალიან სადაა (გაიხსენე „ნაილის“ (Nike) ლოგო).

3. ლოგო უნდა გადმოსცემდეს ორგანიზაციის „მთავარ სათქმელს“. შეიძლება ლოგოზე არ იყოს გამოსახული კომპანიის სახელი ან მისი პროდუქტი. მთავარია, ლოგო ორგანიზაციის შესახებ რაღაცას „ამბობდეს“.

4. ლოგო უნდა იყოს „მოქნილი“. ეს ნიშნავს, რომ ის კარგად უნდა გამოიყურებოდეს ყოველთვის: როცა ფერს, ფონს ან ზომას უცვლი ან სხვადასხვა მასალაზე ბეჭდავ.

5. ლოგომ უნდა გაუძლოს დროს. კარგი ლოგო ხშირად ასწლეულებს უძლებს. ასეთია „კოკა-კოლა“ (Coca-Cola). მისი ლოგო 1885 წლის შემდეგ არ შეცვლილა.

6. ლოგო უნდა იყოს განსხვავებული. ლოგო იმისთვის არის, რომ ერთი კომპანია გამოარჩიოს სხვებისგან. ამიტომ როდესაც ლოგოს ქმნი, ნუ მიბაძავ სხვებს!

ბევრი ლოგო გეომეტრიული ფიგურის გამოყენებით არის შექმნილი.

*1. **წრეწირი.** წრეწირი ერთიანობის, კავშირის ნიშანია. მას ხშირად იყენებენ კომპანიები თავისი ლოგოს შესაქმნელად. ასეთია „მასტერქარდის“ (MasterCard) ლოგო. ის ორი წრეწირისგან შედგება. წრეწირია გამოყენებული მანქანის ლოგოებში BMW და AUDI.*

*2. **კვადრატი.** ზოგიერთი ორგანიზაცია და კომპანია კვადრატებს იყენებს ლოგოს დიზაინში. ეს ფიგურა დაცულობის, უსაფრთხოების, კომფორტის ნიშანია. კვადრატი გამოყენებულია „ლეგოს“ (LEGO) ლოგოში.*

*3. **სამკუთხედი.** სამკუთხედი ენერგიასა და წინსვლას, ზოგჯერ კი აგრესიას ნიშნავს. ამიტომ სამკუთხედს ლოგოს დიზაინში ხშირად არ იყენებენ. თუმცა ის გვხვდება, მაგალითად, „მოტოროლას“ (Motorola) ლოგოზე.*

*4. **ფიგურების კომბინაცია.** არსებობს ლოგოები, რომლებიც გეომეტრიული ფიგურების ერთმანეთთან შერწყმით არის შექმნილი. ასეთია, მაგალითად, „მერსედეს-ბენცი“ (Mercedes-Benz).*

საინტერესო აქტივობები

დააკვირდი ლოგოებს პროდუქტებზე. ამოიცანი მათზე გეომეტრიული ფიგურები. მოიძიე ლოგოები, რომლებიც წრეწირის, კვადრატის ან სამკუთხედის გამოყენებით არის შექმნილი.

წარმოიდგინე, რომ კანფეტის ან სათამაშოების მწარმოებელი კომპანიის მფლობელი ხარ. მოიფიქრე კომპანიის სახელი. შემდეგ დახატე შერეული ტიპის ლოგო.

მის შესაქმნელად გამოიყენე წრე, კვადრატი ან სამკუთხედი.

კითხვის-დრო

პატარა სადურგლოდან სათამაშოების მწარმოებელ გიგანტამდე

„ლეგოს“ ისტორია

თუ იცი, რომელია ყველაზე პოპულარული სათამაშო დღეს მსოფლიოში?

აღმოჩნდა, რომ დღეს ბავშვებში LEGO უფრო პოპულარულია, ვიდრე – Hasbro ან ბარბის თოჯინა. ეს გასაგებიცაა. LEGO უშვებს კუბიკებს, რომლითაც ნებისმიერს შეუძლია სხვადასხვა კონსტრუქცია ააგოს. თუმცა, ცოტამ თუ იცის, რომ „ლეგოს“ მწარმოებელი დანიური კომპანია თავიდან ხის პატარა სახელოსნო იყო. პირველ სათამაშოებსაც სწორედ ხისგან ამზადებდნენ.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ დღეს დურგალმა **ოლე კირკ კრისტიანსენმა** დანიის პატარა სოფელში სახელოსნო ააშენა. სახელოსნოში ხის ნივთებს ამზადებდნენ და ყიდდნენ. ეს მოხდა 1932 წელს. კრისტიანსენი კიბეებს, საუთოებელ მაგიდებს, სკამებსადა სათამაშოებს ამზადებდა. თავიდან სახელოსნოში სულ 6 დურგალი მუშაობდა. მალე მამის დაწყებულ ბიზნესში მისი ვაჟი, 12 წლის **გოტდფრედიც** ჩაერთო. თავიდან ის მხოლოდ ფიზიკურად ეხმარებოდა მამას. შემდეგ მოდელების შექმნაც დაიწყო სათამაშოებისთვის.

ოლე კირკ კრისტიანსენის კომპანია 84 წლის განმავლობაში მამიდან შვილს გადაეცემოდა. ახლა ის ოლეს შვილიშვილს, **კელდ კირკ კრისტიანსენს**, ეკუთვნის.

საწარმო პატარა იყო, მაგრამ საკუთარი დევიზი ჰქონდა: **„მხოლოდ საუკეთესო შეიძლება იყოს საკმაოდ კარგი“**. დევიზი გოტდფრედმა დაფაზე დაწერა და კედელზე მიამაგრა.

თავიდან სახელოსნოს არ ჰქონდა სახელი. 1934 წელს ოლე კირკ კრისტიანსენმა კონკურსი გამოაცხადა შესაფერისი სახელის მოსაფიქრებლად. საბოლოოდ, ამ კონკურსში თვითონვე გაიმარჯვა. მან ორი დანიური სიტყვის – „LEg, GOdt“ (ქართულად – „კარგი თამაში“) პირველი მარცვლები გააერთიანა. ასე მიიღო ცნობილი სახელწოდება „LEGO“.

კომპანია სწრაფად ვითარდებოდა. 1936 წელს მას უკვე ჰქონდა სათამაშოების 42 განსხვავებული ნაკრები. თუმცა, ხის სათამაშოები ძვირი იყო. ამის გამო მას ბევრი ვერ ყიდულობდა. ამიტომ ჯერ კიდევ ამზადებდნენ ავეჯს.

1942 წელს „ლეგოს“ ფაბრიკას ხანძარი გაუჩნდა და დაიწვა. სათამაშოების წარმოება მალე განახლდა, თუმცა კომპანია მცირე მოგებით მუშაობდა. მფლობელებს რაღაც უნდა ეღონათ მის გადასარჩენად... და, აი, 1947 წელს „ლეგომ“ ინგლისელი ფსიქოლოგის მიერ შექმნილ პლასტიკატის „აგურზე“ მოიპოვა უფლებები. ეს პატარა „აგური“ სხვა დეტალებს უერთდებოდა. ასე ახალ-ახალი კონსტრუქციის შექმნა შეიძლებოდა.

> შენს მეგობრებთან ერთად მცირე კვლევა ჩაატარე. გამოავლინე ყველაზე პოპულარული სათამაშო თაობების მიხედვით: ბებიების / ბაბუების, მშობლებისა და თქვენს თაობაში. საინტერესოა, რა შედეგებს მიიღებ.

მალე კომპანიას უკვე 50 თანამშრომელი ჰყავდა. მათ 200-მდე პლასტიკატისა და ხის სხვადასხვა სათამაშო დაამზადეს.

1960 წელს „ლეგოს“ ხის სათამაშოების განყოფილებას მეხი დაეცა. ხანძარი გაჩნდა და ქარხანა მეორედ დაიწვა. ხის სათამაშოების ქარხანა აღარ განუახლებიათ. ამის შემდეგ მხოლოდ პლასტმასის სათამაშოებს ამზადებდნენ.

1968 წლის 17 ივნისს დანიაში გაიხსნა მსოფლიოში პირველი „ლეგოლენდის“ (LEGOLAND) პარკი. ორ თვეში პარკს უკვე 600 ათასზე მეტი მნახველი ჰყავდა. დღეს მსოფლიოში რამდენიმე ასეთი პარკია, სადაც პატარებთან ერთად ზრდასრულებიც მშვენივრად ერთობიან.

2003 წელს „ლეგომ“ თავის პროდუქციას დაამატა ინტერაქტიული თამაშები, როგორიცაა „ვარსკვლავური ომები“ და „მარსის მისიების“ კომპიუტერული თამაშები.

2012 წელს „ლეგომ“ „პიქსართან“ (Pixar) ერთად გადაიღო მცირე ანიმაციური ფილმი სახელწოდებით „ლეგოს ამბავი“ (The LEGO Story). მასში მოთხრობილია ოლე კირკ კრისტიანსენისა და მისი ვაჟის, გოტდფრედ კირკ კრისტიანსენის მიერ კომპანიის დაარსების, გადარჩენისა და განვითარების ისტორია. ამ ფილმის ნახვა ინტერნეტსივრცეში შენც შეგიძლია.

კითხვის-დრო

კითხვის დრო

www.chemiskola.emis.ge

USAID საბაზისო განათლების პროგრამა

ამ ფურცლით შეგიძლია წიგნი გააკეთო. ამისათვის ფურცელი გაზეთიდან უნდა ამოხიო და წყვეტილ ხაზზე შუაზე გაკეცო.

რებს... მათი შიშით აბორიგენები ერიდებიან ზოგიერთი ცხოველის მოკვლას. ისინი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ნადირობენ.

აბორიგენებმა სამკურნალო მცენარეების ცნობა იციან. ამზადებენ გველის ნაკბენის, დიზენტერიისა და სხვა დაავადებების წამლებს.

ლეგენდა თუ სინამდვილე?

ამაზონის ჯუნგლების შესახებ ბევრ, ერთმანეთზე უფრო უცნაურ ინფორმაციას ნახავ. 5 წლის წინ პერუელმა მეცნიერმა ანდრეს რუზომ ამაზონის ჯუნგლებში ცხელი მდინარე აღმოაჩინა. მან დაასრულა მდინარის აღწერა და წიგნიც გამოსცა.

მდინარის სიგრძე 6 კმ-ა, სიგანე – 25 მ, სიღრმე – 6 მ. წყლის საშუალო ტემპერატურა არის +86^{0}C... საერთოდ, ცხელი მდინარეები ვულკანებთან ახლოს გვხვდება. ამ ტერიტორიაზე კი ვულკანები არ არის. როგორ ცხელდება წყალი, ჯერ კიდევ გასარკვევია.



SOS! – დედამიწის ფილტვები საფრთხეშია!

ადრე ამაზონის ტყე დედამიწის ხმელეთის ზედაპირის 16%-ს ფარავდა. დღეს ტყის ფართობი მხოლოდ ხმელეთის 6%-ს მოიცავს.

ტყეების ნაწილი ნადგურდება შემთხვევითი ხანძრების შედეგად, უდიდეს ნაწილს კი სპეციალურად ჩეხავენ ფერმებისა და გზების ასაშენებლად. იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ გაუვალი ტყე იყო, ახლა უდაბნოა.

ამის გამო ტყის ცხოველებისა და მცენარეების დიდი რაოდენობა ნადგურდება. მართალია, ბევრ მცენარესა და ცხოველს სხვადასხვა პროგრამა იცავს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

შემცირდა მოსახლეობის რაოდენობაც.

თუ ასე გაგრძელდა, ამაზონის ტყე შეიძლება მხოლოდ მომდევნო 40 წლის განმავლობაში „გვეყოს“...

შენც იფიქრე, რა შეიძლება გავაკეთოთ დედამიწის ფილტვების გადასარჩენად.

შესავალი – „დედამიწის ფილტვები“



იდუმალებით მოცული, უზარმაზარი ტყის მასივი – ამაზონის ტროპიკული ტყე სამხრეთ ამერიკაში მდებარეობს. ის ზამთარ-ზაფხულ მწვანეა. აქ ძალიან თბილა და ხშირად წვიმს.

ამაზონის ჯუნგლები მდინარე ამაზონის აუზში მდებარეობს. სახელიც ამის მიხედვით დაერქვა. მისი ფართობი დაახლოებით 55 მილიონი კმ^2-ია. ის ცხრა ქვეყნის ტერიტორიას მოიცავს: ბრაზილია, პერუ, კოლუმბია, ვენესუელა, ეკვადორი, ბოლივია, გაიანა, სურინამი და გვიანა.

ფლორა და ფაუნა

ამაზონის ჯუნგლების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ის ძალიან დიდ ფართობს მოიცავს. დაფარულია გაუვალი ტყეებითა და ჭაობებით. დასახლებულია საშიში მტაცებლებით. აქ გავრცელებულია: შავი კაიმანი, იაგუარი, ანაკონდა, გველთევზა... მდინარეში დაცურავენ ელექტრონული სკატები, რომლებსაც ელექტროენერგიის გამომუშავება და ადამიანის მოკვლა შეუძლიათ. ამაზონის მდინარეების კიდევ ერთი საშიში ბინადარია პირანია. მისი ნაკბენი ადამიანს სერიოზულ ზიანს აყენებს...

თუმცა შესწავლილი ნაწილის მიხედვით მეცნიერები ამბობენ, რომ მსოფლიოში ცნობილი სახეობების ერთი მეათედი სწორედ აქ, ამაზონიაში ბინადრობს. დღეისთვის აღწერილია:

- 40.000 სახეობის მცენარე;
- 2.200 სახეობის თევზი;
- 1.294 სახეობის ფრინველი;
- 427 სახეობის ძუძუმწოვარი;
- 428 სახეობის ამფიბია;
- 378 სახეობის ქვეწარმავალი;
- 3.000 სახეობის პეპელა და სხვ.

ამაზონის ტყე მსოფლიოს ჟანგბადის დაახლოებით ნახევარს „გამოიმუშავებს“. ამიტომ მას „დედამიწის ფილტვებსაც“ უწოდებენ.

სულ ამაზონის ტყეში გვხვდება ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა დაახლოებით 10 მილიონი სახეობა.

აბორიგენები

ამაზონი დედამიწის ყველაზე წყალუხვი მდინარეა. მისი სახელი ერთ-ერთ ადგილობრივ ენაზე „ნავების დამანგრეველს“ ნიშნავს. მდინარეში უხვად იზრდება წყალმცენარე, რომელიც ძველად დიდ საფრთხეს უქმნიდა ნავებს.

მდინარე ანდებში იწყება და მთავრდება ბელემთან (ბრაზილია). ის სიგრძით მეორეა ნილოსის შემდეგ. ივნისიდან ოქტომბრის თვემდე ტროპიკებში ხშირად წვიმს. წყლის დონე 30-დან 45 მეტრის სიმაღლემდე იმატებს და ტბორავს ტყის ათობით მილიონ ჰექტარს.

მდინარე ამაზონზე არ არის არცერთი ხიდი, თუმცა სანაოსნოდ გამოიყენება.



როგორ ფიქრობ, ვის უნდა აერჩია საცხოვრებლად ასეთი ადგილი? ამბობენ, რომ საუკუნეების წინ აქ მილიონობით ადამიანი ცხოვრობდა. ახლა ცხოვრობს დაახლოებით 200.000. თუმცა, ეს ზუსტი მონაცემი არ არის. ჯუნგლების სიღრმეში შეიძლება კიდევ ცხოვრობდნენ დღეისთვის შეუსწავლელი ტომები.

აბორიგენების უმეტესობა ნადირობითა და მცენარეების შეგროვებით ირჩენს თავს. ზოგიერთს მწარე წიწაკა, ბანანი და სიმინდი მოჰყავს. ზოგმა ცხოველების მოშინაურებაც იცის. სახლებს ხის ბოძებით აგებენ, სახურავს კი პალმის ფოთლებისგან უკეთებენ.

აქაურ ტომებს ჩაცმის სხვადასხვა სტილი აქვთ. ქალებსა და კაცებს თეძოზე ხელით დამზადებული ქსოვილის ნაჭერი ახვევიათ ან ნაქსოვი მოკლე ქვედატანი აცვიათ. ბავშვები ხშირად სამოსის გარეშე არიან. ზოგი ცხვირს, ლოყებს, ყურებს იხვრეტს და რგოლებს, ჩხირებს, ძვლებს, ბუმბულებს იმაგრებს ან სხეულზე სვირინგს იკეთებს...

მგზავრობისთვის ხისგან გამოთლილ კანოებს იყენებენ.

აბორიგენებს სჯერათ, რომ ღამღამობით ჯუნგლებში სულები დახეტიალობენ, მდინარეებში კი ღმერთები უსაფრდებიან გზააბნეულ მგზავ-

სანამ ექსკურსიაზე წახვალ

შენ ლამაზ ქვეყანაში ცხოვრობ. მიიხედ-მოიხედე, რამდენი საპიკნიკე თუ სალაშქრო ადგილია გარშემო. პიკნიკი, ალბათ, იცი, რაც არის. აი, ექსკურსიასა და ლაშქრობას კი ხშირად ერთმანეთში ურევენ. **ექსკურსია** არის ტრანსპორტით წასვლა საინტერესო ადგილის დასათვალიერებლად. **ლაშქრობა** კი სათავგადასავლო მოგზაურობაა ფეხით. ამ დროს მანძილს A პუნქტიდან B პუნქტამდე გაივლი ფეხით, ტვირთი ზურგით დაგაქვს.

როგორც ამბობენ, ნამდვილი მოგზაურისთვის ცუდი ამინდი არ არსებობს. თუმცა სჯობს, სადმე წასვლამდე მოსალოდნელი ამინდი გადაამოწმო.

ექსკურსიაზე მოსახერხებელი ტანსაცმელი და გამძლე ფეხსაცმელი ჩაიცვი. თბილი მოსაცმელი ან საწვიმარიც წაიღე. ქალაქგარეთ ამინდი ხშირად იცვლება. მზის ქუდი და სათვალეც არ დაგავიწყდეს!

ექსკურსიაზე წაიღე საყვარელი გასართობი (ფრიზბი, ბურთი, გიტარა, ფოტოაპარატი, წიგნი...) და მეგობრებთან ერთად გაერთე.

თუ შეგცივდა, კოცონი დაანთე, ოღონდ გახსოვდეს:

- ცეცხლი უფროსის გარეშე არ დაანთო!
- შეაგროვე ფიჩხი ან ხმელი შეშა. არ დაამტვრიო ხეს ტოტები!
- ცეცხლი დაანთე ტრიალ მინდორში და არა ხის ძირას! არ შეიძლება ცეცხლის უყურადღებოდ დატოვება, განსაკუთრებით, ქარიან ამინდში. ხშირად ამის გამო ტყეში ხანძარი ჩნდება.
- შინ წასვლისას მიაყარე ნაცარს მიწა, დაასხი წყალი! დარწმუნდი, რომ ცეცხლი ჩამქრალია.

ექსკურსიაზე წვნიანი ან ძალიან რბილი საჭმელი არ გამოგადგება. კარგია მშრალი საკვები: პური, ხაჭაპური, ლობიანი, ღვეზელი, ქადა, ძეხვეული, შემწვარი ან მოხარშული ხორცი, კარტოფილი, კიტრი და პომიდორი, ხილი და სხვადასხვა სასუსნავი ჩურჩხელა, ჩირი, თხილი...). სხვათა შორის, სასუსნავები ძალიან დაგეხმარება ძალების აღდგენაში.

არ დაგავიწყდეს უბრალო ან მინერალური წყალი, წვენი და სხვა.

აი, კიდევ რა დაგჭირდებათ:

- გადასაფარებელი საკვების დასაწყობად;
- სპეციალური პარკები ნარჩენებისათვის;
- სველი და მშრალი ხელსახოცები;
- ერთჯერადი ჭურჭელი;
- თხელი, მსუბუქი ლეიბი ან პლედი (დასაჯდომად).

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი:

ვიდრე ადგილს დატოვებ, ყველამ ერთად გარემოს თვალი მოავლეთ, სადმე ნაგავი ხომ არ გრჩებათ. ჩააქრეთ კოცონი, შეაგროვეთ ნარჩენები, დაახარისხეთ და ჩაყარეთ უახლოეს ურნაში.

ეს შენი ქვეყანაა! შენი პლანეტაა! შემოიარე, დააკვირდი, შეისწავლე, მოუფრთხილდი და გონივრულადგა მოიყენე!

კითხვის-დრო

გაზაფხული მთავრდება და ზაფხული მოდის! ესე იგი, კარგი დროა ექსკურსიისთვის. ალბათ, შენც გეგმავ ახალი ადგილების მონახულებას. თუ გინდა, რომ დრო კიდევ უფრო სასიამოვნოდ გაატარო, რამდენიმე მარტივ, სახალისო თამაშს გასწავლი.

სახალისო თამაშები ექსკურსიისთვის

გაიცანი შენი ხე

ეს თამაში შეგიძლიათ ითამაშოთ ისეთ ადგილას, სადაც არის ტყე და არც ისე ოღრო-ჩოღრო მიწა. დაიყავით წყვილებად. ერთ-ერთმა მეწყვილემ უნდა აიხვიოს თვალები. მეორე უკარნახებს მას, საით უნდა წავიდეს, რათა ერთ-ერთ ხესთან მივიდეს. კარნახის დროს აძლევს მინიშნებებს: ორი ნაბიჯი მარჯვნივ, ერთი ნაბიჯი პირდაპირ და ა.შ. შეიძლება დასახმარებლად ხელიც მოჰკიდოს. ამგვარად მიიყვანს თვალახვეულ მეწყვილეს „სამიზნე“ ხესთან. თვალებახვეული მოთამაშე ხეს „შეისწავლის“ ხელებით, დაიმახსოვრებს მის გარშემოწერილობას, ქერქს. დაყნოსავს და დაიმახსოვრებს მის სუნს... შემდეგ მეწყვილე მას ისევ თავდაპირველ ადგილას დააბრუნებს. თვალახვეული გაახელს თვალებს და შეეცდება ამოიცნოს, რომელი იყო „მისი“ ხე. ამისთვის შეუძლია მივიდეს ხეებთან, შეეხოს, დაყნოსოს და ა.შ.

სიარული ჩრდილებზე

თუ მზიანი ამინდია, შეგიძლიათ ჩრდილებზე სიარულით გაერთოთ. შეთანხმდით, დაინიშნეთ დრო და იარეთ მხოლოდ ჩრდილებზე. შეიძლება ზოგჯერ გადახტომაც დაგჭირდეთ. როგორ ფიქრობთ, დღის რომელ მონაკვეთში შეიძლება ეს თამაში?

მოთხრობა, რომელიც არ მთავრდება

ზოგჯერ ექსკურსიაზე გრძელი გზა გაქვთ გასავლელი. ასეთ დროს, ერთი შეხედვით, საინტერესო არაფერი ხდება. თუმცა შეგიძლიათ კარგად გაერთოთ. ერთ-ერთმა დაიწყოს მოთხრობის შეთხზვა. ხმამაღლა თქვას პირველი წინადადება. შემდეგ მეორე ბავშვმა დაამატოს და ა.შ. გაერთეთ და იცინეთ! ვერც კი შეამჩნევთ, დამღლელი გზა რა მალე დასრულდება.



ფოტომონადირე

ტყეში ან მინდორში მონიშნეთ ტერიტორია თამაშისთვის. შემდეგ ჩამოწერეთ საპოვნელი საგნების სია. მაგალითად: ყვავილები, მკვდარი ხე ან ბუჩქი, გირჩა, კენკრა, ფრინველი, ცხოველი, მწერი, ხავსი, სოკო, სორო ან ხვრელი, ეკალი, ჩიტის ბუდე, ფუღურო, ობობას ქსელი და ა.შ.

სია შეგიძლიათ შეცვალოთ ადგილის მიხედვით. მთავარია, ისეთი საგნები ჩაწეროთ, რომლის პოვნაც იმ ტერიტორიაზე ძნელი არ არის.

გაიფანტეთ და მოძებნეთ სიაში მოცემული საგნები. გადაუღეთ ფოტო თითოეულს. როცა ყველას იპოვით, დაბრუნდით ბანაკში. გამარჯვებულია ის გუნდი/წყვილი/მოთამაშე, ვინც პირველი იპოვის ყველა საგანს და გადაუღებს ფოტოს.

ჩაიწერე ხმები

შეჩერდი და ყური დაუგდე გარემოს ზუსტად 60 წამის განმავლობაში. რამდენი განსხვავებული ხმა გესმის? შეგიძლია ყველა ჩამოთვალო ან ჩამოწერო?

კითხვის-დრო